№ 176, ოთხშაბათი, 23 აპრილი. 1896—1897 ოთხშაბათი, 23 აპრილი, № 176.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

პირველ აპრილიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ხუთი |5| მანათი.

ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსის ე. ვოდოვოზოვის თხზულება

«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»

(ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები)

ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქართველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-დაწინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.

წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 გვერდამდე, 18—30-მდე სურათები და ეღირება 1 მანათი და 20 კაპ.

ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა.

გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი“.

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში—ბ ნ ზაქ. ჭიჭინაძესთან; **გორში**—ექვთიმე კოპლატაძესთან; **ხაშურში**—სტეფანე ნოზაძესთან; **ჭიათურაში**—ერმალოზ კიწმარიშვილთან და გერასიმე ზერიძესთან; **საჩხერეში**—იასონ ლამბაშიძესთან; **შორაპანში**—რაჟდენ გაჩეჩილაძესთან; **ზესტაფონში**—ილია მაღლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; **ოზურგეთში**—ლადიკო ჩხაიძესთან; **ქუთაისში**—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანიშვილისა და ქილაძის წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლაღიძესთან; **ახალ-სენაკში**—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; **ბათუმში**—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; **სოხუმში**—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; **გუდაუთში**—ბაგრატ მჭედლიძესთან; **ნოვოროსისკში**—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: **Батумъ, Михаилу Гачечиладзе.** (30—4)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ану Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—80)

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: **სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ.** (ორი შაურის მაგიერად) **და უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ.** (შაურის მაგიერად).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნევა 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.** თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.** (წ.)

სამკერვალო სკოლა

ქალთა ამხანაგობისა

მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.

ვერა, გაბაევის კიწრო ქუჩა, № 3.

(3—1)

---

† აკაკი ლუკას ძე გაბუნია. დიდად სამწუხარო ამბავი ამოვიკითხე „ცნ. ფურცლის მე-172 №-ში აკაკი გაბუნიას თავის მოკვლის შესახებ. აკაკიმ პირველი სწავლა მიიღო ტფილისის საზაღოსნო სკოლაში, სადაც გათავებამდის პირველ შეგირდათ ითვლებოდა, დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლებსა და მოსწავლეთა შორის. სწავლაში ის მომეტებულ დროს ანდომებდა სხვა და სხვა წიგნების კითხვას და ქართულ ლექსების წერას; გაათავებდა კლასში გაკვეთილებს თუ ბაღში მუშაობას, განსვენებული ერთად შეჰკრიბავდა ქართველ მოწაფეებს, უკითხავდა და უხსნიდა ქართველ საუკეთესო მწერლების ნაწარმოებს. ამისთანა მაგალითების მჩვენებელი მოწაფე, რასაკვირველია, ძალიან უყვარდათ ამხანაგებს და დიდ პატივსაც სცემდნენ. აკაკი მარტო აღნიშნული სასწავლებლის გათავებით ვერ დაკმაყოფილდა, ის სამეურნეო სასწავლებელშიაც წავიდა იალტაში, სადაც, როგორც მოსალოდნელიც იყო აკაკისაგან, ერთგულად შეისწავლა სამეურნეო საქმე. შემდეგ იალტიდგან დაბრუნებისა, აკაკი სახლში დაბრუნებულიყო და თავის მამის მამულში დაეწყო მეურნეობა. შინ, თავის მამულში დაბრუნებას მუხრან-ბატონთან სამსახური ირჩია, რადგანაც, როგორც იმისაგან გამიგონია, უფრო კარგათ გაივარჯიშებდა მეურნეობას, ფულსაც იშოვნიდა და შემდეგ საფრანგეთში წავიდოდა სწავლის გასაგრძელებლად. პირველ ხანებში იმან ერთი ათად ლაზათი დასდო მუხრან-ბატონის ბაღებს თავისი დაუღალავი სიმხნევით, რისთვისაც ძრიელ ემადლიერებოდნენ მოურავები. დილიდგან საღამომდის მუშაობით დაღლას ის არ უშინდებოდა, იპოვნიდა თუ არა თავისუფალ დროს, ჩამოვიდოდა ტფილისში, ყიდულობდა როგორც რუსულ-ქართულ წიგნებს, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებსაც, წაიღებდა ხოლმე სოფ. მუხრანში და სულ კითხვაში ატარებდა თავისუფალ დროს. მუხრან-ბატონთან ერთი წელიწადი იმსახურა, შარშან შემოდგომაზედ ერთ თვემდის ქ. ტფილისში დაჰყო და შემდე თავისს სოფელში წავიდა მამასთან, სადაც, როგორც მკითხველებმა იციან, თავი მოიკლავს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ყველასათვის კეთილის მდომო და ამხანაგების საყვარელო, აკაკი!.

სანდრო ბილანიშვილი.

ახალი ამბავი

⁂ **ამომრჩეველთა სიების სიმრუდე.** მართალია, სიები «საბოლოოდ შესწორებული და დამტკიცებული» უკვე დაურიგდა ქალაქის მცხოვრებთ, მაგრამ მითამ «შესწორებული» კია და ისიც საბოლოოდ?!. ოდნავ რომ თვალი გადაავლოთ ხსენებულ სიებს, თვალს აგიჭრელებთ შემდეგი უკუღმართობა, მაგალითად: 675 ნომრით აღნიშნულია «ელჩიევი ყარამან ელჩიევიჩი» 11,100 მ. ცენზით, ხოლო იმავე სიების 2,038 ნომრით აღნიშნულია «ელჩიევი ყარამან ელჩიევიჩი» 15,000 მ. ცენზით. საგულისხმოა ვკითხოთ გამგეობას ეს ორი კაცი ერთი და იგივეა, თუ სხვა-და-სხვა?... 1,229 ნომრით აღნიშნულია «მორთულაძისა ეფემია იასეს ასული», ხოლო 2,035 ნომრით «ელიოზოვი რახანია გარდაიცვალა ღ ყოველივე მისი ქონება ერგო მის ქალს ქ-ბნ მორთულაძისას ე. ი., ასულს 2844 ნომრით აღნიშნულია კორექტურულის შეცდომით „ისარლოვი ფარნაოზ სტეფანეს ძე, მემკვიდრენი მისნი დები ანნა და ეკატერინე“. ეს, უეჭველია, ერთი მრავალშეცდომათაგანია, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ჰხირია სიებში. ალბად სიის შემდგენელთ ჰსურდათ ეთქვა: „ანნა და ეკატერინე, ვითარცა მემკვიდრენი ძმისა თვისისა ფარნაოზ სტეფანეს ძე ისარლოვისა“, მაგრამ სიების სიმრუდეც სწორედ ეს არის, რომ პატივცემული ფარნაოზ სტეფ. ისარლოვი სრულიად ჯანმრთელი ბრძანდება და ყოველ დღე დასეირნობს სწორედ გამგეობის სახლის წინ და იმავე სიებში № 790 კერძოდ არის აღნიშნული!!. როგორ მოხდა, რომ ერთისა და იმავე კაცს ხან ცოცხლად აჩვენებენ და ხან გარდაცვლილად და მისს მემკვიდრეობას დებს ურიგებენ??

ამისთანა მაგალითები სიებში იმდენია, რავდენიც მთელ გამგეობას და სიების შემდგენელებს თავზე ბალანიც არ მოეპოვებათ! მერე ამისთანა სიებს უწოდებენ, ის დალოცვილები, «საბოლოოდ შესწორებულს და დამტკიცებულს»?!

⁂ **გრაცის პროფესსორი** ჰიუგო შუხარდტს, როდესაც მას ეჭირა კაფედრა კლასიკურის ფილოლოგიისა უნივერსიტეტში, შეუდგა რომანიულის ენების შესწავლას და ზედმიწევნით შეისწავლა იგინი; ამ ბოლოს დროს შეუდგა ქართულის ენის შესწავლას და ხანში შესულმა მეცნიერმა ისე საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა, რომ დასწერა გამოჩენილი კვლევა: “Uber den passiueн Charakter des Transitius in den Kankasischen Sprachen“. ეს გამოჩენილი მკვლევარი ამზადებს ახლო მომავლისათვის ქართულის ენის გრამატიკას და იგი, ეჭვი არ არის, რა დიდი განძი იქნება სალინგვისტიკო ლიტერატურისათვის, რომელსაც მოჰფენს მრავალ ახალს აზრს.

⁂ **შემოწირულება.** ძმათა მირზოშვილთა ნავთით სავაჭრო ამხანაგობამ შემოსწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ოთხასი მანათი.

⁂ **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ თავართქილაძის სტამბაში დაბეჭდილი პაწია წიგნაკი „წიგნების ქუბა“ შემოკლებულად ნათარგმნი ჯონ-ლებოკიდან ბაგრატ დოლიძის მიერ. წიგნაკი შეიცავს ათ ბეჭდურ გვერდს და ღირს სამი კაპიკი.

⁂ **უზომო სიხარბე.** ჩვენს რედაქციაში არა ერთხელ შემოუჩივლიათ, რომ გაზეთების ქუჩა-ქუჩა მყიდველნი განსაკუთრებით ცხენის რკინის გზის სადგურებთან წრეს გადასულ სიხარბეს იჩენენ და მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებზე ჯეროვანი სარგებელი ეთმობათ, მაინც გაზეთებს თითქმის ერთი ორად უფრო ძვირად ჰყიდიან. მაგალითად, ჩვენი რედაქცია გაზეთს უთმობს ნაღდ ფულზე ორ-ორ კაპიკად, ასე რომ თითო კაპიკი მოგება რჩებათ, რაც შეადგენს 35°/o, მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებიან და გაზეთს სამი კაპიკის მაგიერად ჰყიდიან თითო შაურად. სასურველია, რომ ამ გარემოებას პოლიცია მიაქცევდეს ყურადღებას და ალაგმავდეს აგრე წრეს გადასულ ხარბთ და მძარცველებს.

⁂ **გაზეთის ურიგოდ ჩაბარება.** ჩვენ არა ერთხელ გვქონდა მოხსენებული ის შეწუხება, რომელიც ადგებათ ხოლმე გაზეთის გამომწერლებს სხვისი სიკეთის მოყვარულთაგან. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ბორჯომშიაც დაუწყიათ სხვის გაზეთებით სარგებლობა, ხოლო ამ შემთხვევაში დამნაშავენი ფოსტალიონებია, თურმე, რომელნიც თავის ნაცნობებს სთავაზობენ სხვის გაზეთებს, მეტადრე თუ საინტერესო წერილი რამ არის შიგა. აღვნიშნავთ რა ამ ურიგო საქციელს ფოსტალიონებისას, ვურჩევთ ხელის მომწერლებს პირდაპირ ფოსტის კონტორებში მიმართონ საჩივრებით, რათა ვისიც ჯერ არს შთააგონოს თავის მოხელეთ, რომ სხვისი გაზეთის თავაზა ურიგობა და უკანონობაა.

⁂ **ტფილისის ზოგიერთ ვაჭართა დამახასიათებელი ნიმუში.** აღდგომის წინა დღეებში გავიარე ბაზარში; რომ დავუახლოვდი „ქუთაისის ნომრებს“, რომლის ახლო-მახლო გამრავლებულია ძველის ტანისამოსის მაღაზიები, დავინახე შეჯგუფული ხალხი, შემომესმა რაღაც ჩოჩქოლი და თან ყვირილი სოფლიდან ჩამოსულის ებრაელისა: „ნუ მკლავ, ე მოგცემ ოთხ მანათს ე, ნუ მკლავ“!.. ებრაელი ეყიდულებოდა „ჩერქესკას“ ვიღაც ვაჭარს, რომლის გვარი და სახელი თუმცა არ ვიცი, მაგრამ ვიცნობ-კი, გაჰრიგებოდა თვრამეტ აბაზათ და ჩაეცვა ტანზედ, ვაჭარმა, თურმე, თვითონ დასწია ნაოჭს და ჩამოახია. მყიდველ ებრაელს გადააბრალა, რომ შენ დახიეო, ებრაელმა აძლია თვრამეტი აბაზი და ვაჭარმა აღარ მისცა, გინდა თუ არა, ოთხი მანათი უნდა მომცეო, წაუჭირა ყელში ხელი და მინამ ოთხი მანათი არ ააშვლიპა, არ გაუშვა. დახეული ჩერქესკა ჩაიცვა ებრაელმა, რას იზამდა. როცა შევეკითხე ვაჭარს, თქვენ დახიეთ, თუ ებრაელმა მეთქი ჩერქესკა, ასე ურცხვად და ავაზაკური კმაყოფილებით-კი მითხრა: „ნე ია, ნე ონ აპარვალ, ა ჩერქესკა გნილოი, სამა პრვალ“-ო და ჩაიდო ჯიბეში ფულები. საუბედუროდ, ახლო „გოროდოვოი“ არ იყო, ყველა ვაჭარის ქომაგი გამოდგა და ებრაელის თხოვნაზედ პოლიციაში გაყოლაზედ ვაჭარი მასხარად იგდებდა მას. აი მომავალი „კულტურული“ ვაჭარი, რომელიც დიდ ქუჩაზედ გამოიტანს თავის მოღვაწეობას ახლო მერმისში და დააარსებს «მაღაზიას მზამზარეულის ტანისამოსისას» მზამზარეულად წაკრულ-წაგლეჯილ ათასი საწყალის მწარე ოფლით ნაშოვნის ფულით.

⁂ **სამხედრო საქართველოს გზაზე მიმოსვლის გამო.** ჩვენ შევიტყეთ, რომ საფოსტო და მოგზაურთათვის ეტლების წარმოება უნდა ჩააბარონ ხელ-ახლად 12 წლის ვადით აწინდელის მოიჯარადრის იბრაჰიმბეკოვის ქვრივს. ქ-ნი იბრაჰიმბეკოვისა კისრულობს თითო მოგზაურის წაყვანას კავკავამდე ეტლის პირველი კლასით—13 მანათად (18 მან. მაგივრად) და მეორე კლასით—9 მანათად (12 მანათის ნაცვლად).

ამბობენ, ბევრნი იყვნენ მსურველნი, რომ ეგ საქმე კიდევ უფრო შეღავათიანის პირობებით აეღოთ და, ურიგო არ იქნებოდა, რომ საჯარო ვაჭრობით გაცემულ იყო ეგ საქმე და არ დაჰვიწყებოდათ მოგზაურთა ინტერესები.

⁂ **ვაზიანის ხიდის უვარგისობა.** ტფილისიდამ რამდენისამე ვერსის მანძილზე კახეთის გზის სადგურ ვაზიანთან დაშალეს ძველი ხიდი შესაკეთებლად, თითქმის სამი კვირაა მას აქეთ. იქვე არ არის, საჭირო ფულიც დანიშნული იქნება და აქამდე, ვგონებ, შესაძლებელი იყო ხიდის შეკეთება, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ვერ ვეღირსეთ და ვერა. ძველიც დაგვიშალეს და ახალსაც არ გვაძლევენ.

დროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, მით უმეტეს, რომ ამ ხიდის უქონლობით კახეთის გზაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელის მხარესათვის, თითქმის შეუძლებელია მიმოსვლა.

⁂ **ფოტოგრაფიული გამოფენა ტფილისში.** დღეს გაიხსნება ტფილისში, „დიდების ტაძრის“ დარბაზში ფოტოგრაფიული გამოფენა და გასტანს 25 მაისამდე.

⁂ **ვაზის ავადმყოფობის „ბლეკროტის გამო“.** მეურნეობის სამინისტროს ნება მიეცა შეიმუშავოს სავალდებულო ღონისძიებანი ბლეკროტთან საბრძოლველად, ბ-ნ კავკასიის მთავარ-მართებლის თანხმობით. ამის გამო ამ მოკლე ხანში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მონაწილეობით მსჯელობა ექმნება და შეიმუშავებს მევენახეთათვის სავალდებულო წეს-რიგს.

⁂ **ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის რევიზიის გამო.** ტფილისის სახაზინო პალატის მოხელეს ბ. ვერემიევს უკვე გაუთავებია მოქალაქეთა გამგეობის რევიზია და ანგარიში ამ რევიზიისა წარუდგენია დანიშნულებისამებრ. სახაზინო პალატას წარუდგენია ეგ ანგარიში ფინანსთა სამინისტროში და უთხოვნია ზომები მიიღონ, რომ ხსენებულ გამგეობაში მოსპობილ იქმნენ ბოროტ-მოქმედებანიო.

⁂ **თავის-მოკვლა.** კვირას, 20 აპრილს, დილის 7 საათ. 50 წამ., ყორღანოვის ქუჩაზე, ოღანეზის სახლებში, თავი მოუკლავს სამსახურს გარეშე მყოფს ღენერალ-ლეიტენანტს კ. ი. ანტუშევიჩს. განსვენებულს, თურმე, წყალ-მანკი სჭირდა, რომლითაც მეტად იტანჯებოდა ამ ბოლოს დროს. მას დაუტოვებია წერილი, რომლიდამაც სჩანს, რომ თავის მოკვლა აიძულა საშინელმა ავადმყოფობამ.

⁂ **ბურთაობა ბათომში.** კვირას, 20 აპრილს, გაიმართა ბათომში ბურთაობა. ერთის მხრით გურულები იყვნენ და მეორეს მხრით მეგრელები; გურულები შედარებით ძრიელ ცოტანი იყვნენ და ამიტომ პირველად მეგრელებმა დასძლიეს და ბურთი წაიღეს; გურულებს რაჭველები დაეხმარნენ და ბურთი შეაჩერეს, მაგრამ დაბრუნებით მაინც ვერ დააბრუნეს; ბოლოს გამოვარდა ერთი ახალგაზდა გურული, ბურთი ხელში ჩაიგდო და სწრაფად გაექანა; ისე მარდად გარბოდა, რომ ვეღარავინ დაეწია და ბურთი გურულების ლელოზე მიიტანა და ზღვაში ჩააგდო. ამ ნაირად გურულები დარჩნენ გამარჯვებულნი, თუმცა, როგორც ზემოთ მოხსენებული იყო, მეგრელებს უფრო მეტი მომხრენი ჰყავდათ.

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.“

⁂ **უმართებულო ამბების გამო.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზ. „ცნობის ფურცელში“ შემდეგს. „ცნობის ფურცლის“ მე-154 ნომერში იწერება ბ. ვანო, რომ წარმოდგენას აქამდისინ გავმართავდით, მაგრამ საქმე ვერა ხერხდება, რადგანაც დუშეთში სასცენო შენობა მარტო სკოლის შენობაა და იმის ზედამხედველს კი იმისი დათმობა ეზარებაო. ესეც ტყუილია, რადგანაც ზედამხედველისათვის შენობა არავის არ უთხოვნია. ეს კიდევ რა, მის ცხვირ-წინ სკოლა არსებობს და იმას არც-კი სცოდნია, რომ იგი სრული ორ-კლასიანი, რომელშიაც ასწავლიან ხუთი მასწავლებელნი. ე. ი. ზედამხედველნი, ორი მასწავლებელნი, ერთი ქართველის და ერთიც სომხის მღვდელნი.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც სკოლა არ აძლევდეს საკმაო ცნობებსა, ამაზედ შეგვიძლიან მოვახსენოთ ბ. ვანოს, რომ სკოლა აძლევს კურს-დამთავრებულ მოსწავლეებს საკმაო ცოდნას, რომელიც სჩანს იქიდან, რომ აქაური სკოლის მოწაფეები უმეტეს ნაწილად შედიან, ვისაც კი საშუალება მოეპოვება, საშუალო სასწავლებლებში, ზოგნიც სხვა-და სხვა სამსახურში და თუ თვით ქ. დუშეთში იცის რამე ვინმემ, ესეც სკოლის ნაყოფია. დუშეთის სასწავლებელი სხვა ამ გვარს სასწავლებლებზედ თუ წინ არა მდგარა, არას დროს უკან ჩამორჩენილი არა ყოფილა; რომ სასწავლებელს ნაყოფი არ მოჰქონდეს, ხომ აქამდინაც დასტოვებდნენ, რადგანაც თვით ბ. ვანომაც კარგად იცის, რომ ყოველ წლივ თუ ორჯერ არა, ერთხელ მაინც უეჭველად რევიზიას ახდენს მთავრობა.

ბ. ვანოს ისიც-კი არა სცოდია, რომ სკოლა სრულიად უპროგრამმოთ ყოვლად შეუძლებელია, მეტადრე ისეთი ორ-კლასიანი სახელმწიფო სასწავლებელი, რომელიც 35 წელიწადზედ მეტია არსებობს. განა შეიძლება ამდენს ხანს სასწავლებელი არსებობდეს სრულიად უპრაგრამმოთ, როგორც ბ. ვანო იწერება თავის ბოლო წერილში!. ვანო ამით სკოლას ვერაფერს სარგებლობას ვერ მოუტანს, არამედ თვით რედაქტორს უსიამოვნებაში გახვევს. ეხლა ის დროა, რომ უპრაგრამმოთ არამც თუ სახელმწიფო, არამედ უბრალო სასწავლებელიც არ შეიძლება არსებობდეს. ნუ თუ ეს არ იცოდა დუშელმა ვანომ?

თუ ბ. ვანო ნამდვილ გულ-შემატკივარია სკოლისა და იმის გარემოებისა და პრაგრამმის გაგება სურდა, შეეძლო წაეკითხნა სამოსწავლო ცირკულიარებში. ვანო რომ არ არის სკოლის გულ-შემატკივარი და არც სკოლის საქმე აინტერესებს, ეს იქიდანაც სჩანს, რომ სკოლა, მისი მასწავლებლები და მოსწავლეები მეტად ცუდ მდგომარეობაში არიან: სკოლის შენობა ინგრევა, დასაძინებელ ოთახს ბოძები მისცეს, რომ ბავშვებს ჭერი თავზედ არ დააწვეს; ზედამხედველის ბინა დაცლილია, რადგანაც ინგრევა და შიგ ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ არც ერთი ესენი ბ, ვანოს არ მოჰგონებია.

საზოგადოდ ბ. დუშელი ვანო ბევრს სიმართლეს მოკლებულს და უმართებულო ამბებს აწვდის რედაქციას და თუ უნდა ამასაც ისე ადვილად დავუმტკიცებთ, როგორც სკოლის პროგრამის შესახებ. საქმე მარტო წერა როდია, არამედ სიმართლე და მიუდგომლობაა საჭირო, ხოლო ეს უკანასკნელი ორი თვისება ძლიერ ჰკლებია ბ-ნ დუშელ ვანოს.

ბარელი.

⁂ **უსაფუძვლო ხარჯი.** თქვენს პატივცემულს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (153 №-ში) წავიკითხე წერილი შესახებ უსაფუძვლო ხარჯისა მიცვალებულის განსვენებაზე ქვემო იმერეთში. ამაზედ ვუპასუხებ წერილის ავტორს, რომ ამისთანა ჩვეულებები არა მარტო ქვემო იმერეთში არის, არამედ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში და სამეგრელოშიაც. წერილის ავტორი ვერ დაჰკვირვებია ვისგან წარმოსდგება ესენი. აქ, სამეგრელოში-კი, სამწუხაროდ, ძლიერ იხარჯებიან საწყალნი, ღარიბნი და ღატაკნი, რომელთაც უიმისოდაც არა აბადიათ-რა. ზემოხსენებულ საქმეში ხარჯის მიღებას აღძრავენ ხოლმე ზოგიერთნი სოფლის მღვდლები; მოკვდება თუ არა ვინმე სოფელში, მეზობლები მიდიან ვაი-ვაის ძახილით, იმათთან მღვდელიც მიდის და განსვენებამდის არ მოსცილდება. აქ გაჩნდებიან ვითომ თავი კაცები, დაუძახებენ ჭირისუფალს და მისცემენ კითხვას მღვდლის თანადასწრებით და მასთან მღვდელი აძლევს დარიგებას, როგორ უნდა გაასვენოს მიცვალებული.

ჭირისუფალი ჰკითხავს—რამდენი რა მოუნდება და ისინიც, რასაკვირველია, ეუბნებიან: 100 ფუთი პური, სამი საპალნე ღვინო, ლობიო, ღომი, თუ ხსნილია ხორცი მღვდლისათვის და უთევზოდაც არ ივარგებსო; მთელი ხარჯი დაჯდება არა ნაკლებ 400 მანათისა და ჭირისუფალს კი ერთი კაპეიკიც არ მოეძევება. საჩქაროდ უნდა გაჰყიდოს რამდენიმე დღიური მიწა და ამით გაასვენოს მიცვალებული; ამნაირად ღარიბდება საწყალი კაცი და ერთ სიკვდილზე მეორე სიკვდილიც ემატება. მოგეხსენებათ, ადვილი არ არის, რომ მუშა ხალხს ულღიდან გამოუხსნათ ხარი, წაიყვანოთ ძროხა, წაიღოთ საწნახელი და სხვ. და სხვ. ეს ჩვეულებები, მართლაც, დამაქვეითებელია ხალხისა, მაგრამ ვისგანაც ჯერ არს ყურადღების მიქცევა, პირ-იქით ისინი ხდებიან მოთავენი ამ უსარგებლო და გამღატაკებელ ჩვეულების გავრცელებისა.

ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სადაც ნასწავლი მღვდელია, ცოტა არ იყოს, მცირდება ეს უღმერთო ხარჯი; ავიღოთ, მაგალითად, საკურთხი. სოფელში ყოველ შაბათს მიცვალებულისათვის კეთდება არა ნაკლებ ორმოც-სამოცი საკურთხისა. თითოეული საკურთხი შესდგება შემწვარ ქათმისა, იმერულ ან მეგრულ ყველისა, პურისა, ღომისა, მოხარშულ კვერცხისა, ღვინისა, ვაშლისა და მხალისაგან. ამას ზედ დაამატებენ ქესას, თუთუნით და ყალიონით, ასე, რომ დიდი კალათი გაივსება საკურთხით. თითოეულ მიცვალებულს თითო კალათს დაადებენ საფლავზე. მღვდელი, ოლარ გადაკიდებული, დაადგება ამ საკურთხს სანთელ ანთებული და აკურთხებს. იქავე მისი მოჯამაგირე დგას და, როგორც სანთელს გააქრობს მღვდელი, ის კალათი ბიჭის ხელით მღვდლის სახლისკენ გაიგზავნება. სასიხარულოდ, ეს ჩვეულება მოისპო დ. ხონში, რადგან იქ ხშირად არიან სემინარიაში კურს-დამთავრებული მღვდლები.

ს. სამიქაველი.

⁂ **ქ. ოზურგეთი. აბრეშუმის თესლის გაჭირობა ოზურგეთში.** მინემ ამხანაგობა „შუა-მავალი“ დაარსდებოდა ოზურგეთში, აქაური ვაჭრები ჰყიდდენ ათას ნაირ უვარგის აბრეშუმის თესლს. გაიხსნა თუ არა ხსენებული ამხანაგობა, სრული იმედი მოგვეცა შემდეგში მაინც რიგიან თესლს შევიძენთ ამხანაგობიდგანო, მაგრამ წელს ამხანაგობამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ვერ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნილება და ისევ ძალა-უნებურად იძულებული გავხდით ძველს გზას დავსდგომოდით. გაიგო თუ არა ერთმა აქაურმა ვაჭართაგანმა ამხანაგობას თესლი აღარ აქვსო, გამოიწერა ქ. ბათომიდგან, ვინ იცის რომელ ქუჩაში მოხვეტილი, თესლი და მამის-სისხლად დაიწყო ჰყიდვა; აუარებელი მუშტარი მიაწყდა, ასე რომ დილიდგან სალამომდის ორი-სამი კაცი ვერ უთავდებოდა აწონვას. როცა ამხანაგობას გამოელია თესლი, მყიდველთ მიჰმართეს ბ. შარაშიძეს, რომლის თესლი განთქმულია მთელს გურიაში. ოზურგეთში დღე არ გაივლის ისე, რომ რამდენიმემ არ იკითხოს გიგო შარაშიძის გამორჩეული თესლი თუ გაქვსო, მხოლოდ, ამხანაგობის თესლი გარდა, იმის თესლს ვენდობითო, მაგრამ, სამწუხაროდ არც პატივ-ცემულს შარაშიძეს დაურჩა თესლი საკმაოდ.

იმედია, შემდეგში ჩვენი ამხანაგობა უფრო რიგიანად გააწყობს საქმეს და აწ მაინც ზომიერად გამოიწერს თესლს და მით დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას.

ბიბლიოთეკა
138

⁂ **ქ. ოზურგეთი. სად სჯობია წიგნთ-საცავი.** ჩვენის ნორჩ წიგნთ-საცავისათვის თვით-მმართველობის შენობაში ერთი ოთახია დათმობილი. მაგრამ, ზოგის აზრით, კლუბში სჯობია წიგნთ საცავის გახსნაო. ეს მეტად უხერხულად იქმნება მკითხველთათვის, რადგან კლუბში შესვლას ბევრი მოერიდება და წიგნთ-საცავი მიზანს ვერ მიაღწევს. სანამ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა ეს კითხვა, საჭიროა კარგად აწონ-დაწონონ და ისე გადაწყვიტონ წიგნთ-საცავის ბედი და იღბალი.

⁂ **დაბა ლანჩხუთი.** (გურია). **მამასახლისის არჩევა და ბოქაულის წინადადება.** 16 აპრილს მაზრის უფროსის თანაშემწის და ადგილობრივ ბოქაულის ბ-ნ ქავთარაძის თანა დასწრებით ყრილობა მოხდა მამასახლისის ასარჩევად. ეს მესამეჯერ არის ამ წელში რაც ლანჩხუთის საზოგადოება მამასახლისს ირჩევს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი დადგენილება ყოველთვის (სამი ოთხი კაცის საჩივრით) ირღვევა და მეთუთხმეტე დღეზე უცხადებენ: „მამასახლისი უნდა აირჩიოთ“. ამ წელში სამჯერ მოხდა მამასახლისის არჩევა და სამივეჯერ ახალ-ახალი ბოქაული ჰყავდა ლან[illegible] არჩევანს ბ. ჯაფარიძე განაგებდა, რომელიც, რაღაც მიზეზების გამო, გადაყვანილ იქმნა. მეორეს, მისი დროებით მოადგილე ბ. იოსელიანი; ხოლო ამ უკანასკნელს მესამე არჩევანს ახლად გადმოყვანილი ბოქაული ბ-ნი ქავთარაძე, მაზრის უფროსის თანაშემწის თანა დასწრებით. სამივე არჩევნებზე ხალხმა ერთი და იგივე კაცი აირჩია, თუმცა ყველა გაგებულმა და მცოდნე პირებმა დარწმუნებით იციან, ახალ არჩეული მამასახლისი ვერ ივარგებს მაგ თანამდებობაზე. სოფლის საზოგადოებას ეს ერთად ერთი უფლება აქვს მინიჭებული და როგორც უნდათ, ისე იქცევიან, თუმცა აქაური ინტელიგენცია დიდათ მოწადინებული იყო, ცოტად თუ ბევრად, გაგებული პირი აერჩიათ მამასახლისად, რომელიც თავის სინიდისს და პატიოსნებას გაუფრთხილდებოდა და პირნათლად შეასრულებდა ამ მოვალეობას, მაგრამ მათმა სიტყვებმა ვერაფერი იმოქმედა ხალხზე და მაინც თავისი გაიყვანეს! სამწუხაროა, მაგრამ ასე კია.

მამასახლისის არჩევის შემდეგ ბოქაულმა ბ-ნმა ქავთარაძემ მიჰმართა ხალხს: ,,ძმებო და მამებო! მე, როგორც ახალი მოსული კაცი თქვენს საზოგადოებაში, რომელსაც დღეს პირველად გხედავთ თავ-შეყრილს და ირჩევთ მამასახლისს, და თუმცა არ ვიცნობ თქვენ მიერ არჩეულ კაცს, მაგრამ ვისურვებ თქვენი სარგებლის მომტანი ყოფილიყოს! ამას გარდა, მე როგორც ვხედავ, თქვენ დიდი ყოჩაღები უნდა იყოთ ყველაფერ საქმეში, ეს იმიდგან შემიძლია ვსთქვა, რომ გურულები ყველა ყოჩაღები ხართ, მაგრამ თქვენ, ლანჩხუთის საზოგადოებას ერთი ისეთი რამ გაკლებიათ, რომელიც თქვენთვის აუცილებელი საჭიროა, ეს გახლავთ ექიმი! ყველა თქვენგანი დამეთანხმება, რომ ექიმი აუცილებელი საჭიროა ყველასთვის. არავინ იქნება ისეთი მოსახლე კაცი, რომ წელიწადში ერთხელ მაინც არ დასჭირდეს და ექიმის მაგიერ იძულებული ხართ სოფლის ექიმებს მიმართოთ. ზოგიც, რომლებიც შეძლებული ხართ, ქალაქებიდგან იწვევთ ექიმებს, მაგალითად, ოზურგეთიდგან, ბათომიდგან, ქუთაისიდგან, რომლის ხარჯი არა ნაკლებ 20—25 მანათი დაგიჯდებათ. ზოგს არც კი აქვს იმდენი შეძლება, რომ ექიმი ქალაქიდგან მოიწვიოს და მისი ავადმყოფი უსაშუალოთ კვდება. თუ თქვენ დამეთანხმებით, მოვიწვიოთ ერთი კარგი ექიმი და თითო მოსახლემ რომ წლიურად 50 კაპ. გადაიხადოთ, თქვენს ავადმყოფს თავზე ედგომება უფასოთ ექიმი და რამდენათაც შესაძლებელი იქმნება უსაშუალებს თქვენს ავადმყოფს, ამ საქმეში შემოგიდგებათ თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდებაც, იმათ თქვენზე უფრო მეტს გადავახდევინებ და ამ საშუალებით ჩვენს დაბას ეყოლება მუდმივი ექიმი!.

საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და თანხმობა განაცხადა, რომლის დადგენილებაზე ხელი უკვე მოაწერეს.

კონტი.

⁂ **ს. ძაპანა.** (სენაკის მაზრა). **სამაგალითო ექიმი.** ამ სოფლის მცხოვრებნი ძლიერ ღარიბნი არიან. საუბედუროდ, ამ სიღარიბესთან გავრცელდა რაღაც ნაირი ავადმყოფობა. არის ოჯახი, სადაც ყველანი დიდი და პატარა ავად არიან, ერთი კიდევაც იმსხვერპლა. რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევაში ექიმი აუცილებელია სოფლელებისთვის . მაგრამ დ. აბაშაში ექიმი არ არის, სენაკიდან-კი იმისი მოყვანა სიღარიბისა გამო შეუძლებელია მათთვის. აი ამ დროს ზეციდგან მოვლინებული შეიქმნა სოფლელებისთვის ახალი ექიმი ბ. კ. თოფურიძე. ის დაუღალავად დადის ყველა ამ ავადმყოფობით მოცულ ოჯახებში, ყველას სინჯავს, წამლებს უწერს უსასყიდლოდ და კიდევაც ბევრი იხსნა სიკვდილისაგან . სოფლელები დიდი მადლობელი არიან და კიდევაც მადლობის ღირსია ყველასაგან მოხსენებული ექიმი.

ბ. ნოდია.

⁂ **დ. ყვირილა** ქართული **ხოროს კონცერტი** დიდი. ხანია რაც ჩვენ დაბას არა რა ღირსებია თავის გასართობი. უსაქმო ვაჭრები (აქ ნაკლები ვაჭრობაა) ხშირად რვა საათზე კეტენ მაღაზიებს და მერმე ღმერთმა იცის სად იკარგებიან. ბევრჯერ განუძრახავთ აქაურ სცენის მოყვარეთ ქართული წარმოდგენის გამართვა, მაგრამ ნება-რთვის აღებამ ხელი შეგვიშალა.

ეხლა, 17 აპრილს, ყველა სიამოვნებით კითხულობდა განცხადებებს; ყველას უხაროდა, რომ დღეს კონცერტზე იქნებოდენ და რამოდენიმე საათს მაინც სიამოვნებით გაატარებდენ. მართლაც სასიამოვნო კონცერტი იყო; მომღერალთ ძლიერ უხდებოდათ ქართული ქულაჯები; ხოროს შეადგენდა ცამეტი კაცი, რომლებშიაც ყველაფრით უპირველესი ადგილი ეჭირა ბ-ნ. კავსაძეს, ლოტბარს ამ ხოროსას, მშვენიერი ხმები იმღერეს, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებით „არაგვის პირულმა ოროველამ“ „ფშავ-ხევსურულმა გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ და სხ.. საზოგადოება დიდ მადლობას უძღვნის ბ-ნ ივ. მჭედლიშვილს, როგორც გამგეს ამ ხოროსას, ბ-ნ კავსაძეს და მთელ ხოროს მათ შორის ბ-ნ ციმაკურიძეს, რომელმაც უკანასკნელი „ცანგალა და გოგონა“ დაამშვენა ხელოვნურის ლეკურით.

დამსწრე.

⁂ **ს. ბუში:** (ქუთ. მაზ) **სკოლა და მისი წარმატება.** 1896, წელს პირველ სეკტემბრიდამ აქ გაიხსნა ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელსაც დიდის აღტაცებით მიეგება საზოგადოება. რადგანაც სოფელმა ერთბაშად ვერ შეძლო სკოლისათვის სახლის აშენება, ამისათვის დროებითად დაიქირავეს სახლი, რომელიც ამა მდგომარე 1897 წელს—კიდეც შეისყიდეს 400 მანათად. ამ ხანად სკოლაში 60 შეგირდი სწავლობს ვაჟი, და ქალი. უნდა ვაცნობოთ მკითხველებს, რომ ახლავე ეტყობა სკოლას წინ-მსვლელობა და ნაყოფის გამოტანა. 14 აპრილის, აღდგომის მეორე დღეს, სკოლაში იყო გამართული „ლიტერატურული სადამო“. მოწვეული იყვნენ შეგირდები თავის მშობლებით, და სხვა ბევრი გარეშე და საპატიო პირნიც. სწორედ მშვენივრად დასასურათეს და წაიკითხეს „დედაენიდამ“ ზეპირად მოსწავლეებმა მოთხრობები და ლექსები, აგრეთვე ისტორიდამაც ბევრი საგნები,

სადამოს დაესწრო პატივცემული ბ-ნი. ნესტორ წერეთელი, რომელმაც ბევრი სასარგებლო და ნაყოფიერი სიტყვა წარმოსთქვა და გააცნო საზოგადოებას სკოლის გარემოება. კიდე'ც წაიკითხა რამდენიმე ლექსები ჩვენი სახელოვანი პოეტებისა, რომლითაც დიდის მადლობის ღირსია მასწავლებელი ბ-ნი. ცაგარეიშვილი, ასეთი ღირსეული შრომისათვის მისდამი რწმუნებულ საქმეზე. სწორედ, მშვენივრად განვითარებული ჰყავს შეგირდები. სადამო დაიშალა ღამის თორმეტ საათზე, საზოგადოება ძალიან ნასიამოვნები დარჩა.

ვასილ კორძაძე.

⁂ **ქ. გორი. ქართული გალობა.** ოთხშაბათს, 16 აპრილს, აქ ბ-ნმა ვ. მჭედლიშვილმა ჩამოიყვანა ქართული ხორო, რომელმაც კონცერტი გამართა. ხოროს ლოტბარობდა ბ. კავსაძე, რომელიც ხელოვნურად და სისრულით ასრულებდა თავისს საქმეს. კონცერტმა ფრიად კარგად და მწყობრისად ჩაიარა. საზოგადოება ძლიერ ცოტა იყო, რის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ავდრიანი და წვიმიანი დღე. მაგრამ „თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევა“. განა არ შეიძლებოდა, რომ ავდარს ვერ დაეშალა! საქმე ის არის, რომ გორელები მუდამ ესე გულ-გრილად ექცეოდნენ გონებითი და ესტეტიურ გასართობს.

⁂ **ს. ბუთური** (გურია). **გამოუდეგარი ზარი.** ეს ორი წელიწადია ჩვენმა ღარიბმა სოფელმა ოცდა-ათი თუმანი ფული შეაგროვა ეკკლესიის ზარის საყიდლად და კიდევაც გამოვიწერეთ; რასაკვირველია, მოგვივიდა ზარი, კარგი შეხედულობისა და ზორბაც, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ზარი გამოგვადგა ყალბი და რამდენიც დრო გადიოდა, ის სულ თანდათან ხმას კლებულობდა. ვხედავთ, რომ ის არ არის კარგის ხარისხისა, მაგრამ წამხდარს საქმეს რაღა გამოაკეთებდა. ეხლა, როგორც ამბობენ, ამ ზარს ისევ უკან ჰგზავნიან და შეიძლება ნახევარ ფასად მიიღონო. ნეტავი ასე მაინც მოხდებოდეს.

ვ. ჩ—ლი.

⁂ **ჰუდაში.** (ქუთ. მაზრა). **ჩვენის დროის რაინდები.** ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, სწორედ ისე არის ჩემი საქმე: 1889 წ. გადამეცვალნენ მშობლები, დავრჩი ობლად. მე იმდენი გამოცდილება არ მქონდა, რადგან მცირე-წლოვანი ვიყავ, და არა რა გამეგებოდა, რომ მამულებისათვის, მეპატრონებინა. ხოლო ყოველი ჩემი უძრავ-მოძრავი, ე. ი. ყველა ჩემი ქონების საბუთები, ჩემი მშობლების გარდაცვალების შემდეგ, გადავეცი ჩემს მოკეთეთ და მოყვარეებს, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, იმათ პატრონობის ნაცვლად ყოველსავე ჩემს ქონებაზედ ხელი ამაღებინეს. აი, საქმის ვითარება: დედაჩემის ქონებაზედ, მე რადგანაც მცირე-წლოვანი ვიყავ აღმოჩნდნენ, მამაჩემის მოვალეები, —მოვალეებმა, რასაკვირველია, მე დიდათ დამამწუხრეს, მაგრამ რადგანაც დედა-ჩემის სახელზედ იყო, ყველა მამულების საბუთებში, ბევრად მაინცა და მაინც ვეღარ მეხებოდნენ. იმ შემთხვევაში ზემო ხსენებულ, —ჩვენი დროის რაინდებმა, ჩემი მამულების საბუთები თავისათ მიითვისეს, ვითომ და აღმოჩნდენ ჩემს მფარველებად. მითხრეს: „ჩვენ იმათ არაფერს გავატანთო.“ მართლაც და, რა უნდა წაეღოთ მამა ჩემის მოვალეებს დედა ჩემის ქონებიდამ?.. შემდეგ ამ ვაჟბატონებმა, როგორც ჰსურდათ, საქმე ისე გააკეთეს. ისინი ნი მომაშორეს, მაგრამ მე-კი ყველაფერზედ ხელი ამაღებინეს. მას აქეთ დავრჩი ულუკმა-პუროდ, აღოღებული. აი, ეხლანდელი, ჩვენის დროის რაინდები, სწორედ ამისთა ვინმეებზედ ითქმის. ნათქვამია: „გინდ მგელს შევუჭამივარ, და გინდ მგლის ფერ ძაღლსაო“. რა იმათ წაეღოთ ჩემი მამულები და რა მამაგათ შევუჭამიათ, ჩემთვის ხომ დაკარგულია.

უტულია მიქელაძე.

⁂ **დ. საჩხერე. საქველ მოქმედო საქმე.** თავ. ალექსანდრე მიხეილის ძის წერეთლის გარდაცვალების სამის წლის თავზე, 11 აპრილს ადგილობრივს ეკკლესიაში პანაშვიდი გადუხდიათ. განსვენებულის მემკვიდრეს, თავადს მიხეილ ალექ. წერეთელს, საყვარელის მამის სახელის სახსოვრად შეუწირავს მომავალის დედათა სკოლის სასარგებლოდ ერთი ქცევა ადგილი, მდებარე დ. საჩხერეში.

⁂ **ს. დიდი ყარაქლისი. შავი ჭირის მოლოდინში.** წარსულის თვის დამლევს ახალი რკინის გზას ექიმმა ბ-ნმა ვეიხლოვმა ლექცია წაიკითხა შავი ჭირის შესახებ, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მას აქეთ შეუდგნენ სასოფლო ქუჩების გასუფთავებას, მაგრამ ერთი ქუჩა ისე არ დაიგვება, რომ მეორე ან მესამე სულ არ გამტვერიანდეს. ერთს ქუჩას რომ ჰგვიან, მეორე ნაგავით ივსება. სასურველია, რომ პოლიციამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

⁂ **ს. ონოლია** (სენ. მაზ.) **თავის ჩამორჩობა.** წარსულ თვეს აქ მოხდა ერთი შემზარავი ამბავი: გლეხმა სტეფანე ხელაძემ თავი ბაწრით ჩამოიხრჩო. აი საქმის გარემოებაც: წინა დღეს სოფელ ბანძაში, ურიების უბანში, ყოფილა სტეფანე და ორი შაურის ბაწარი უყიდია და შინ ცოტა აღელვებული დაბრუნებულა; იმ ღამეს ცოლ-შვილში ეძინა და მეორე დღეს, დილის ექვსს საათზე, ამდგარა და თავისის ნაყიდის ბაწრით თავისსავე ეზოში ხეზე კისრით ჩამოკიდებულა. ამ შემზარავი თავ-განწირვისა და სიცოცხლის მოსპობის მიზეზათ ბევრნი ასახელებენ ეხლანდელს გლეხკაცის გაჭირვებულსა და უკიდურესს მდგომარეობას, ხოლო ზოგნიც სხვა მიზეზებს ასახელებენ, ნამდვილი-კი არავინ იცის. მეორე დღესვე ჩამოვიდა ნოქალაქევის ბოქაული ბ-ნი ქავთარაძე მაზრის ექიმითურთ, მაგრამ ვერავითარის გამოძიებით ჩამოხრჩობის მიზეზი ვერ აღმოაჩინეს.

ევსევი ხოფერია.

ქალაქის საბჭო

გუშინ წინ, 21 აპრილს, ქალაქის საბჭომ შემდეგი საგნები განიხილა:

1) საბჭოს მოხსენდა იმ ხმოსანთა ვინაობა, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო არ დაესწრნენ 7 აპრილს საბჭოს სხდომას.

საბჭომ პატივ-სადებად იცნო წარმოდგენილი მიზეზები.

2) საბჭოს მოხსენდა ბ. ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა იმის შესახებ, რომ ბ. კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიას უყურადღებოდ დაუტოვებია საბჭოს შუამდგომლობა, რომ ქალაქს ნება მიეცეს თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობაში.

საბჭომ მოისმინა ეს და დაადგინა სახეში იქონიონ შემდეგისათვის.

3) საბჭოს მოახსენა გამგეობის წევრმა ს. ა. ვერმიშევმა ოცის წლის მიძინებული საქმე შესახებ სამუდამო საყასბოს დაარსებისა ტფილისში: ხუროთ-მოძღვარს ბ. შიაკევიჩს შეუდგენია გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა; საყასბოს უნდა ექმნეს ექვსი სხვა და სხვა განყოფილება და სამასი თავი საქონლისათვის იქნება გამართული; უნდა აშენდეს ნავთლუღში და, ბ. შიაკევიჩის აზრით, 350,000 მან. საკმაო არის ამ საქმისათვის. ქალაქის გამგეობას თუმცა ამ პროექტში წვრილმანი ნაკლი შეუმჩნევია, მაგრამ ყოველს შემთხვევაში, დასთანხმებია; გამგეობის აზრით, ამ საქმისათვის უნდა ისესხოს ქალაქმა 350,000 მან. მომავალი საყასბო, გამგეობის ანგარიშით, ქალაქს ყოველ წლივ 100,000 მანათამდე მისცემს, ხოლო ამავე საყასბოზე დაიხარჯება წელიწადში 50,000 მანათამდე და ზემო აღნიშნული სესხიც ქალაქმა უნდა გადიხადოს ნაწილ-ნაწილად საყასბოს შემოსავლიდამ. საყასბოს აშენება და წარმოება უკისრნია ერთს „საფრანგეთის ამხანაგობას“, რომლის პირობებიც ბ. ვერმიშევმა მოახსენა საბჭოს, მაგრამ პირობები იმოდენად ძნელია და ხარჯიც მომეტებული, რომ გამგეობის აზრით ეგ საქმე ყოვლად შეუძლებელია იმ ,,ამხანაგობას‘‘ მიენდოს.

საფინანსო კომისიამ განუხილავს ბ. შიაკევიჩის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე გამგეობის აზრიც და შეუმჩნევია, რომ გეგმა სრული არ არის, მაგალ: არ არის მოხსენებული სადგო-

მი სასახლის ადმინისტრაციისათვის და სხვა ბევრი აუცილებელი ხარჯი, ამისათვის კომისსია ჰფიქრობს, რომ ამ საქმისათვის 450 ათასი მანათი მაინც უნდა გადაიდვას და საქმის თვალ-ყურის დევნება მიენდოს ხმოსანთაგან საგანგებო კომისიას.

„საფრანგეთის ამხანაგობის" პირობები საზარალოდ უცვნია კომისიას.

ხმ. გრიქუროვი. რადგან ჩვენი უფლებები ერთი თვე-და შეგვრჩება, უმჯობესად ვსცნობ ამ საქმის განხილვა გადავსდოთ ახალი ხმოსნების არჩევამდე; იმ დრომდე-კი მივანდოთ მცოდნე და გამოცდილ პირთ ბეჯითად განიხილონ პროექტი და, თუ რამ აკლია, შეავსონ და შეაკეთონ.

ხმ. ბაზოვი არ ეთანხმება გრიქუროვს. საქმე დღესვე უნდა გადაწყდეს, ხოლო რაც შეეხება პროექტის შესწორებას, ამას შემდეგშიაც მოვასწრებთ; მერე შეგვიძლიან დავიხმაროთ მცოდნე და გამოცდილნი პირნი.

ხმ. თამამშევი.—ბ. გრიქუროვის წინადადება რომ განვიხილოთ, საჭიროა ჯერ ხმოსანთა აზრიც მოვისმინოთ და იქნებ ისეთი რამ აღმოჩნდეს, რომ მართლაც საჭირო იყოს საქმის განხილვა გადიდოს.

საბჭომ ერთხმად უყურადღებოდ დასტოვა ხმ. გრიქუროვის წინადადება და შეუდგა საქმის განხილვას.

ხმ. ქუჩარიანცი—დავამტკიცოთ ქალაქის გამგეობის მოხსენება იმ პირობით, რომ პროექტი მცოდნე და გამოცდილ პირთა საშუალებით შესწორებულ იქმნას შემდეგში მაინც და რადგან სინამდვილით არ ვიცით რამდენი დაჯდება სასახლე, ამ თავითვე ვითხოვოთ სამინისტროსაგან ნება დაგვრთოს 500,000 მანათი ვისესხოთ ამ საქმისათვის და თუ გადაგვრჩება რამე, მოვახმაროთ სესხის შევსებას.

ხმ. ბაზოვი. ეთანხმება ბ. ქუჩარიანცის აზრს.

ხმ. თაიროვი ამბობს თავის აზრს შესახებ წყლის მიღებისა და საყინულე განყოფილებისა სასახლეში. მისის აზრით, საკმაო იქნება 425,000 მან.

ხმ. თამამშევი—დღეს გადავსწყვიტოთ თუ რა წყაროიდამ ვიშოვოთ ფული სასახლისათვის და შემდეგ სხდომაზე დანარჩენი კითხვებიც განვიხილოთ.

ხმ. ალიხანოვი ეთანხმება ბ. თამამშევს. საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა: 1) ამ თავითვე მიღებულ იქმნას ბ. შაიევიჩის პროექტი და იშუამდგომლონ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წინაშე, რომ ქალაქის თვით-მმართველობას ნება მიეცეს ისესხოს სასახლის ასაშენებლად 500,000 მანათი: 2) მიენდოს საგანგებო კომისიას (რომელიც ჯერ არ აურჩევიათ) სასახლის აშენების წეს-რიგი შეიმუშაოს და აგრეთვე თვალ-ყური ადევნოს შემდეგშიაც; 3) მიენდოს გამგეობას დაადგინოს ნიხრი სასახლეზე.

დანარჩენი მორიგი საქმეების განხილვა საბჭომ შემდეგ სხდომამდე გადადვა.

წვრილი ამბავი

მკითხავისთვის ჯამაგირის დანიშვნა. პოლტავის გუბერნატორს საჩივარი მიუვიდა ერობისაგან, რომ ზოგიერთმა სოფლის საზოგადოებებმა ფული არ შემოიტანეს ადგილობრივის მკითხავის შესანახათაო. თურმე, დიდი ხანია რაც ამ საზოგადოებას ჯამაგირით მკითხავი სჭერიათ, რომლის ჯამაგირსაც სხვა გადასახადთან ერთად ახდევინებდნენ გლეხკაცობას, მის შესანახად კომლზედ ორს შაურსა ჰკრებდნენ, რომლიდგანაც 300 მანათი ჰგროვდებოდა წელიწადში. სწორედ საკვირველია ასეთი გაუჭვრეტლობა გლეხობისა და ის გარემოება, რომ საერთო კრებით დაუდგენიათ ასეთის სასყიდლის ძლევა მკითხავისათვის.

⁂

უშველებელი სამოვარი. ტულაში გაუკეთებიათ, უშველებელი სიმაღლის სამოვარი, რომელიც კაცზედაც მაღალია თურმე. ამ უცნაურის სამოვრის გაკეთებას სამი თვე მოუნდნენ. სამოვარი 268 მანათი ჰღირს და ათი ვედრო წყალი ჩადისო. აქამდის ამ სიმაღლის სამოვარი არსად მოუმზადებიათ.

⁂

გერმანელების დასახლება ციმბირში. შიდა რუსეთიდგან, თურმე თავისისავე ნებით მრავალნი გერმანელები იყრებიან ციმბირში დასასახლებლად. ამერიკაში წამსვლელთა მისწრაფებამ იკლო და ეხლა მისი მაგიერობა ციმბირმა დაიჭირა. ისინი თურმე ეხლა გაფაციცებით დაეძებენ დასასახლებლად საჭირო ადგილებს და ასობითა სახლდებიან ამ ცივს ქვეყანაში.

⁂

საბერძნეთის დახმარება. კიშინიოვის ბერძნებს შეუკრებნიათ 65 ათასი ფრანკი და საბერძნეთის მეფისათვის გაუგზავნიათ ომის საქმისათვის მისახმარებლად. ხარკოვიდამ კიდევ ორმოცი ახალგაზდა ბერძენი და სომეხი წასულან საომრად. იქვე ათი ათასი მანათი შეუკრებიათ ამავე საგნისათვის.

საღამოს დეპეშა

22 აპრილი

მოსკოვი. დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა ივერიის საზოგადოების მოწყალების დათა მიერ დამზადებულ დაჭრილთა შესახვევი მასალა დაათვალიერა, რომელიც ხუთშაბათს საბერძნეთში უნდა გაიგზავნოს სასანიტარო რაზმთან ერთად. ეს რაზმი წითელის ჯვრის საზოგადოების მოსკოვის დედათა კამიტეტმა შეადგინა.

კრონშტადი. ნავოსნობა დაიწყო ორის იალქნიან გემის მოსვლით.

კონსტანტინეპოლი. აქ სერბიის მეფე მობრძანდა.

კონსტანტინეპოლი. ლუროსის გზებზედ მზვერავი ჯარი გაიგზავნა. არტას ჯარი უკვე მიადგა.

ლონდონი. „Times"-ი იუწყება, რომ ვოლის არე-მარეში ოსმალეთის ცხენოსანს ჯარსა და საბერძნეთის 4,000 ქვეითა ჯარის-კაცი სამის ბატარეით მცირე ოდენი შეტაკება მოუხდათ ერთმანეთთანაო. ოსმალები ვოლოს შევიდნენ. ფარსალოსთან 30,000 საბერძნეთის ჯარას-კაცია შეკრებილი 60 ზარბაზნით. ოსმალები უკვე შეესივნენ. ბერძნებმა რომელთა ბანაკი გამაგრებული არ არის, წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

პრეტორია. ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის ხელშეკრულობისა გამო ბრიტანიის მთავრობა ამბობს, რომ ტრანსვაალს უფლება არა აქვს ასეთი ხელშეკრულობა იქონიოს ვისმესთანაო, და იმისს გაუქმებას თხოულობს.

პარიზი. საელჩოების უფროსებთან ლაპარაკის დროს საბერძნეთის ელჩს შუამავლობის წინააღმდეგ არა უთქვამს-რა.

კონსტანტინეპოლის დეპეშები, იუწყება, რომ ფარსალოსის დაცვა უკვე დაიწყესო. როგორც სჩანს, ბერძნები დომიკო ამ ბუნებრივს სიმაგრესაკენ, მიდიან, რომელიც ოტრიის მთებს შეუქმნია. როგორც სჩანს, არტას დაცვაც დაუწყიათ.

კონსტანტინეპოლი. ლურისი დაჭერილია ოსმალეთის მხედრობის მიერ ბერძნები სისწრაფით სტოვებენ ეპირს.

გაზეთი „იკდამი" იუწყება: „ჰაირი-ფაშის დივიზიის ყარადიჩში გავლის დროს ტრიკალოსა და ფარსალოს შუა და უფრო იქითკენ წასვლის დროს ველოსტინოს მახლობლად მინდვრის სიმაგრეები ოსმალთა მიერ აღებულია. ბრძოლა არ შეწყვეტილა. ფარსალოსა და ვოლოს შუა მიმოსვლა შეწყვეტილია. ოსმალთ 10 ზარბაზანი დაინარჩუნეს.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

ნიხრი

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ძროხის ხორცი 1 ხარისხისა
უძვლოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.
სუკი 1 გირვანქა . . . . . 12 „
ცხვრის ხორცი უძვლოდ
1 გირვანქა . . . . 8 „

გამგეობა ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა ამით აცხადებს, რომ მის მიერ ახლად დაბეჭდილი

მამია გურიელის (ფაზელის)

ყველა ნაწერები,

ვრცელის ბიოგრაფიით და ფოლადზე ამოჭრილ სურათით

იყიდება შემდეგს აგენტებთან:

1. **ქუთაისში:** ძმ. ჭილაძეების, ბეჟანიშვილის, ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლალიძესთან.
2. **ხონში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
3. **სამტრედიაში**—კილაძის წიგნის მაღაზიაში.
4. **ახალ-სენაკში**—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
5. **ძველ სენაკში**—სამსონ ყიფიანთან.
6. **ფოთში**—სოფრონ მგალობლიშვილთან.
7. **ბათომში**—კ. თავართქილაძის მაღაზიაში და მათე ნიკოლაძის სააგენტოში.
8. **სოხუმში**—იოსებ კიწმარიშვილთან.
9. **ოზურგეთში**—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
10. **ლანჩხუთში**—ნიკო კილაძესთან.
11. **ზუგდიდში**—გიორგი ხოშტარიასთან.
12. **ყვირილაში**—არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
13. **ჭიათურაში**—კარპე მოდებაძესთან.
14. **საჩხერეში**—ყარამან ჩხეიძესთან.
15. **გორში**—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.
16. **ტფილისში**—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების, ქართველთა ამხანაგობის, იმედაშვილის და ჭელიძის მაღაზიებში.
17. **ქვემო-მაჩხაანში**—დიმიტრი ნადირაძესთან (მაჩხანელთან).
18. **სიღნაღში**—ივანე შავლიაშვილთან.
19. **თელავში**—მ. ცისკარაშვილთან.
20. **განჯაში**—სოლომონ დოლიძესთან.
21. **ბაქოში**—გიორგი დეკანოზიშვილთან.
22. **კავკავში**—ტიტე კახიძესთან.
23. **ონში**—ნიკო მრევლიშვილთან.

(3—2)

1-го апрѣля вышла 4-я (апрѣльская) книга журнала:

ГОДЪ XVI. **„НАБЛЮДАТЕЛЬ"** ГОДЪ XVI.

СОДЕРЖАНІЕ: 1) Смѣна поколеній. Романъ А. Михайлова (А. К. Шеллера) (Оконч.). 2) Воспоминаніе. Стихотвореніе А. В. Круглова. 3) Стоитъ ли вводить русскій языкъ въ костелы западныхъ губерній? И. П. Корнилова. 4) Цвѣтокъ. Стихотвореніе М. М. Гербановскаго. 5) Отравленная совѣсть. Романъ А. В. Амфитеатрова. 6 Непостоянство. Стихотвореніе П. Петровскаго. 7) Эпоха реформъ. (Страничка изъ біографіи императора Александра II). М. Слобожанина. 8) Мильдредъ Лоосонъ. Романъ Джорджа Мура. 9) Обманы жизни. Стихотвореніе И. Никулина. 10) Чужія палестины. (Изъ заграничныхъ странствованій). Вас. И. Немировича-данченчо. (Оконч.). 11) Финляндскія притязанія. Г. Абова. 12) Памяти А. Н. Майкова. Стихотвореніе Н. Борисова) 13) На западной окраинѣ Барабы. В. Сибиряка. (Оконч.). 14) Разбитый челнокъ. Стихотвореніе А. Гангелина. 13) По горамъ Кавказа. (Очерки русскаго туриста). Кавказца. (Оконч.). 16) Разбитыя сердца. Роман Андрэ Терье. 17) Политическая хроника., (Критскій вопросъ.—Европейское соглашеніе.—Фильэллинскія манифестаціи во Франціи въ Англіи и въ Италіи.—Европейскія эскадры у острова Крита.—Бомбардировка *инсургентской позиціи.—Первое русское правительственное сообщеніе и пр.*). 18) Новыя книги. 19) Наши внутреннія дѣла. (Большой трудъ о вліяніи хлебныхъ цѣнъ и урожаевъ на народное хозяйство.—Можно ли признать вѣрнымъ выводъ 13-ти экономистовъ и статистиковъ о выгодности низкихъ цѣнъ на хлѣбъ для крестянскаго населенія? и пр.). 20) Фонографъ. (Фельетонъ «Наблюдателя»): 1) И смѣхъ, и горе. Литературныя и общественныя замѣтки. (Завѣтъ „сэра" Монтефіоре, свято исполняемый еврействомъ.—Европейская пресса, почти сплошь обратившаяся въ европейскую.—фальсификація „общественнаго" мнѣнія путемъ парламентаризма и печати.—Докторъ Люгеръ—протестантъ на парламентской почвѣ и пр.). Ефима Простосердова.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 Г.

Журналъ выходитъ ежемѣсячно, 15-го числа, безъ предварительной цензуры, книгами отъ 25—30 печатныхъ листовъ, съ иллюстраціями.

Годовая цѣна „НАБЛЮДАТЕЛЯ": съ доставкою въ Петербургѣ и пересылкою иногороднымъ **12** р.; за границу **14** р. **За полгода: 6** р. съ дост. и пер. въ Россіи; за гран. **7** р. За **три** мѣсяца **3** руб. съ перес. въ Россіи; за границу **4** руб. Гг. служащимъ разсрочка (мѣсячная и по третямъ) за поручительствомъ казначеевъ. Книгопродовцамъ уступка: **50** коп. съ **годоваго** экз. журнала и газеты.

При совмѣстной подпискѣ на **„НАБЛЮДАТЕЛЬ"** и **„ГЛАСНОСТЬ"** годовая цѣна: съ дост. **20** р., съ перес. иногор. **22** р.; за гран.—**32** р. За полгода: съ дост. **12** р., съ перес. **13** р., за гран. **17** р. За три мѣсяца: съ дост. **7** р. съ перес. **8** р.; за гран. **10** р. Книгопродовцамъ, за совмѣстную годовую подписку на журналъ и газету, уступка—**1** руб.; за полугодовую—**50** коп.

Главная контора журнала и газеты: *Спб., Пушкинская ул., № 8.*
Редакторъ-издатель А. П. Пятковскій. (4—2)

1697 г. **VIII.**

Вышла въ свѣтъ II-ая (мартъ-апрѣль) книга журнала

„ВОПРПСЫ ФИЛОСОФІИ И ПСИХОЛОГІИ",

издаваемаго московскимъ психологическимъ обществомъ.

Содержаніе ея: Александръ Ив. Введенскій.—Объ атеизмѣ въ философіи Спинозы; Б. Н. Чичеринъ.—Существо и методы идеализма; Н. Я. Гротъ.—Понятія души и психической энергіи въ психологіи. А. Н. Гиляровъ.—Предсмертныя мысли нашего вѣка во Франціи: М. С. Корелинъ.—Очерки развитія философской мысли въ эпоху Возрожденія. I. Міросозерцаніе Франческо Петрарки; В. Э. Вальденбергъ.—Основанія макіавелизма; М. В. Безобразова.—Что такое введеніе въ философію; П. П. Соколовъ.—Факты и теорія «цвѣтного слуха»; Г. И. Челпановъ.—Къ вопросу о воспріятіи пространства. кн. С. Н. Трубецкой.—Въ защиту идеализма; Критика и библіографія; Психологическое общество.

Условія подписки: на годъ (съ 1-го января 1897 г. по 1-е января 1898 г.) безъ доставки—6 р., съ доставкой въ Москвѣ—6 р. 50 к., съ пересылкой въ другіе города—7 р., заграницу—8 р.

Учащіеся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ, сельскіе учителя и селкьсіе священники пользуются скидкой въ 2 р. Подписка на льготныхъ условіяхъ и льготная выписка старыхъ годовъ журнала принимается ТОЛЬКО въ конторѣ редакціи.

Подписка, кромѣ книжныхъ магазиновъ, принимается въ конторѣ журнала: МОСКВА, Большая Никитская, д. 2—24 (въ помѣщеніи журнала „Русская Мысль").

Предсѣдатель московскаго психологическаго общества Н. Я. Гротъ.

Редакторы Л. М. Лопатинъ.
В. П. Преображенскій.

(3—2).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Апрѣля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.